№12 (9895) ◆ დეკემბერი, 2022 წელი ◆ ფასი 50 თეთრი ◆ გაზეთი გამოდის 1933 წლის 3 მაისიდან

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ჩემო ძვირფასო ლეჩხუმლებო, რაჭველებო, სვანებო!

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალწელს!

გისურვებთ, მშვიდობა, სიკეთე და წარმატებები მოეტანოს ახალ, 2023 წელს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის.

განსაკუთრებულად მინდა, მივულოცო ახალი წელი ჩვენს მოძმე ერს, თითოეულ უკრაინელს, რომელთათვის განსაკუთრებულად რთული აღმოჩნდა 2022 წელი.

სამწუხაროდ კორონავირუსის პანდემიის დასრულების შემდგომ, ცივილიზებული მსოფლიოს ყურადღება უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე კონცენტრირდა, სადაც უკრაინელებთან ერთად ქართველი გმირი ჯარისკაცებიც ღირსეულად იბრძვიან ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ.

ბოლო თვეების მანძილზე უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებმა კიდევ უფრო დააფასა ხელისუფლების პოლიტიკა, რომელიც ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას ემსახურება.

იმედს ვიტოვებ, საომარი მოქმედებები მალე შეწყდება და უკრაინაში კვლავ მშვიდობა დაისადგურებს.

დამდეგ ახალ წელს ვულოცავ ჩვენი ქვეყნის ემიგრანტებს, ჩვენს აფხაზ და-ძმებს, პედაგოგებს, პოლიციელებს, საერთაშორისო მისიების მონაწილე ჯარისკაცებს და ოფიცრებს, საჯარო მოხელეებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ერთგულად ემსახურება ჩვენი ქვეყნის უკეთეს მომავალს და თითოეულ მოქალაქეს.

დარწმუნებული ვარ, ხელისუფლებისა და მოქალაქეების ერთიანობით, 2023 წელი წარმატებული იქნება ჩვენი რეგიონისა და ქვეყნის ცხოვრებაში.

კიდევ ერთხელ მოგილოცავთ ყველას დამდეგ ახალ, 2023 წელს.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, მშვიდობას, დღეგრძელობასა და კეთილდღეობას!

პატივისცემით,
პარლამენტის წევრი
გოჩა ენუქიძე

ჩემო მეგობრებო!

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! მშვიდობის, სიკეთისა და სიხარულის მომტანი ყოფილიყოს 2023 წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის.

ახალ წელს იმედით და სასიკეთო ცვლილებების მოლოდინით ვხვდებით.

ვისურვებდი, რომ ეს მოლოდინები გაგვმართლებოდეს ყველას – თითოეულ ჩვენს მოქალაქეს, ახალგაზრდებსა და უფროს თაობას!

გასული, 2022 წელი მნიშვნელოვანი და გამორჩეული იყო ჩვენი რეგიონისთვის. სხვადასხვა ფონდებიდან განხორციელდა 37 მილიონზე მეტი ლარის 400-მდე პროექტი: რეაბილიტაცია ჩაუტარდა საბავშვო ბაღებსა და კულტურის ობიექტებს, მოეწყო ახალი საგზაო და ტურისტული ინფრასტრუქტურა, წყალმომარაგების სისტემები, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით განახლდა ოთხივე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის ურბანული იერსახე. ამოქმედდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სერვისი დიალიზზე დამოკიდებული მოქალაქეებისათვის, ქ. ამბროლაურში გაიხსნა დიალიზის კაბინეტი, რამაც შესაძლებლობა მისცა შესაბამის ბენეფიციარებს დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე, საკუთარ რეგიონში მიიღონ მომსახურება. უახლოეს მომავალში აღნიშნული სერვისი ხელმისაწვდომი იქნება ქ. ცაგერშიც. მნიშვნელოვანი იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის – ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც ქ. ამბროლაურსა და ცაგერში მცხოვრებ 105 ოჯახს სიმბოლურ ფასად, 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცათ წლების განმავლობაში დაუკანონებელი საცხოვრებელი ფართები.

დარწმუნებული ვარ, 2023 წელი ჩვენი კუთხისთვის, კიდევ უფრო, ნაყოფიერი იქნება. ჩვენ, რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლება, ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით მზად ვართ 2023 წელი დავიწყოთ ახალი შემართებით, განვახორციელოთ პროექტები, რომლებიც რეგიონში ცხოვრებას კომფორტულს და მიმზიდველს გახდის.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას ახალ, 2023 წელს! გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას და მშვიდობას!

პატივისცემით, რაჭა-ლეჩხუმ ქვემო
სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული
პაპუნა (პარმენ) მარგველიძე

ჩემო ძვირფასო ამბროლაურელებო, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ვისურვებდი, რომ დამდეგი 2023 წელი იყოს მშვიდობის, სიკეთით, სიყვარულით და ბედნიერებით დატვირთული წელი.

გასული წელი მნიშვნელოვანი იყო ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის იყო ბევრი მიღწევა და გამარჯვებები, მაგრამ ასევე იყო სირთულეები, გამოწვევები. ძალიან ბევრ სფეროში ბევრი სიკეთე მიღწეულია. ახლა, საჭიროა ერთად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. მჯერა ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობით, მუხლჩაუხრელი შრომით, ჩვენ ერთად შევძლებთ შევქმნათ განვითარების, განსაკუთრებული წარმატებების ახალი წელი.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, დამდეგ 2023 წელს. მშვიდობა, დღეგრძელობა, ხვავი და ბარაქა არ მოკლებოდეს ჩვენს რაჭასა და სრულიად საქართველოს.

ასლან საგანელიძე
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ჩემო ძვირფასო ამბროლაურელებო, თქვენ და სრულიად საქართველოს გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

გისურვებთ მშვიდობას, დღეგრძელობას, გაბრწყინებულ და წარმატებულ ქვეყანაში ცხოვრებას!

2022 წელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტისთვის საკმაოდ შედეგიანი იყო. განხორციელდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები, გაიმართა მასშტაბური ღონისძიებები ეს ყველაფერი ხელსუწყობს მხარის პოპულარიზაციას და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მჯერა, რომ მომავალი წელი კიდევ უფრო აქტიური, წარმატებული და შედეგზე ორიენტირებული იქნება. ინტენსიურად გაგრძელდება მოსახლეობასთან შეხვედრები და სწორედ მათ მიერ გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით დაიგეგმება პრიორიტეტები. დარწმუნებული ვარ მონდომებით და თავდაუზოგავი შრომით ყველა პრობლემის დაძლევა მოხერხდება და აქ მცხოვრები თითოეული ოჯახის მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლება.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ წელს და ყველაფერს საუკეთესოს გისურვებთ!

ზვიად მხეიძე, ამბროლაურის
მუნიციპალიტეტის მერი

ფაქტია, რომ 2022 წელს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება სხვადასხვა ფონდებითა და პროგრამების ფარგლებში. მათ შორის ქალაქ ამბროლაურში. კერძოდ მდ. კრიხულას სანაპიროს კეთილმოწყობის სამუშაოები ხორციელდება პროექტი საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში და მისი ჯამური ღირებულება 4 553 234 ლარს შეადგენს. აღნიშნულ ტერიტორიაზე ეწყობა რეკრეაციული ზონა, ბულვარი, გასართობი სივრცეები და კაფე-ბარები.

დასრულების პროცესშია აგრეთვე ქ. ამბროლაურში ბრატისლავა-რაჭის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 4 300 000 ლარს შეადგენს. უკვე მოეწყო გაზონები, ტროტუარები, გარე განათებები, სანიაღვრე სისტემა, გამწვანდა ტერიტორიის ნაწილი და გარკვეული ადგილები მოპირკეთდა ქვაფენილით.

აღნიშნული პროექტების სამშენებლო სამუშაოებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე **ილია ბეგიაშვილი** მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ **პაპუნა მარგველიძესთან**, პარლამენტარ **გოჩა ენუქიძესა** და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებთან ერთად გაეცნო.

ინფრასტრუქტურული პროექტების საბოლოოდ დასრულების შემდეგ ქალაქი ნამდვილად უფრო საინტერესო და მიმზიდველი იქნება, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე ტურისტებისთვის.

მოულოდნელი საახალწლო საჩუქარი

არც თუ ისე დიდი ხნის წინ ლუხუნის ხეობაში, ურავის სამთო-ქიმიური ქარხნის დამსახურებით, სიცოცხლე ჩქეფდა. სოფლები აბარი, ლიხეთი და ურავი ხალხმრავალი იყო. ხეობას ქიმიკოსთა სამჭედლოდ მოიხსენიებდნენ. აქაური ოჯახური დინასტიები ქვეყნის გარეთაც იყვნენ ცნობილი. სამწუხაროდ, გასული საუკუნის 90-იანი წლების მოვლენებმა ქალაქური ტიპის დასახლების ბედი უცნაურად წარმართა.

„ძველი დიდების ნაშთებიდან“ შემორჩენილი მხოლოდ საცხოვრებელი კორპუსები იყო, რომელთა მობინადრეებს არც სხვაგან წასასვლელი ჰქონდა და ვერც საკუთრებაში იფორმებდნენ ფართებს უამრავი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით. ასე გრძელდებოდა წლები.

საბედნიეროდ კარგა ხნის გაურკვევლობა დასრულდა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის – ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით ამბროლაურის მუნიციპალიტეტში წლების განმავლობაში დაუკანონებელ ბინებზე საკუთრების მოწმობების გაცემის პროცესი დაიწყო. მთავრობის განკარგულებით, სიმბოლურ ფასად, 1 ლარად, საკუთრებაში ბინა 86 ოჯახს გადაეცემა.

ფართების დაკანონების შესახებ ინფორმაცია ქალაქ ამბროლაურისა და სოფელ აბარის მოსახლეობას რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულმა – **პაპუნა მარგველიძემ** და რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა **გოჩა ენუქიძემ** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ერთად გააცნეს და საქართველოს მთავრობის განკარგულებებიც გადასცეს.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს ჯამში რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, საცხოვრებელი ბინა საკუთრებაში 105 ოჯახს გადეცა. ამით რეგიონის მასშტაბით პრობლემა გადაჭრილია. ეს მართლაც რომ შესანიშნავი წინასაახალწლო საჩუქარი აღმოჩნდა.

ახალგაზრდა პედაგოგი განაწილებით 1980 წელს მოვედი ურავის საშუალო სკოლაში და ქიმიური ქარხნის საცხოვრებელ კორპუსში ბინაც გამომიყვეს, სადაც 42 წელიწადია ვცხოვრობ. ჩემსავით რამოდენიმე ბინადარს ხელით კი გვეჭირა ძველი საბინაო ორდერი, მაგრამ არავინ გვიკანონებდა საკუთრებაში საცხოვრებელ ფართს. ხან იმ მიზეზით, რომ ცნობილი არ იყო ქარხნის სამართალმემკვიდრე, ან ვერ განკარგავდა მუნიციპალიტეტი, ხან რა და ხან რა. არა და გვიყვარს ეს ულამაზესი ხეობა ლიხეთელებს, აბარლებს, ურავლებს. ერთგულები ვართ ამ მიწის, რომელიც ნამდვილად არ გვემეტება მისატოვებლად და არც იმისთვის, რომ ვინმე უცხო ტომელები მომრავლდნენ ამ ხეობაში. ამის თქმის საბაბიც არსებობს...

ღვთის მადლით ბოლო წლებია აქ გამოცოცხლება იგრძნობა. გზა კარგი გაგვიკეთეს, შუქი, წყალი არის. სამხარეოსა და ადგილობრივი ხელისუფლებისაგან მხარდაჭერას ვგრძნობთ. ახლა მთავრობის ამ გადაწყვეტილებამ იმედის ნაპერწკალი კიდევ უფრო გააძლიერა. ეს ჰესიც თუ ამოქმედდა იქნებ ლუხუნის ხეობის სამი სოფელი ისევ ხალხმრავლად ვიქცეთ. იქნებ ახალგაზრდებს დაბრუნების სურვილი გაუჩდეთ.

დაუნახავები ნამდვილად არ ვართ, დიდი მადლობა ამ მოულოდნელი საახალწლო საჩუქრისთვის. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ბატონ **ირაკლი ღარიბაშვილს**, ჩვენს მაჟორიტარ დეპუტატს პარლამენტში ბატონ **გოჩა ენუქიძეს**, მხარეში სახელმწიფო რწმუნებულს ბატონ **პაპუნა მარგველიძეს**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ **ასლან საგანელიძეს**, მერს ბატონ **ზვიად მხეიძეს**. ყველას, ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტაში. მათ შორის ლიხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს **გიორგი ლობჯანიძეს**.

მგონია, წინასაახალწლოდ გაკეთებული ამ საჩუქრით გამოწვეული სიხარული ბედნიერი ახალი – 2023 წლის მომასწავებელია. წარმატებები, მშვიდობა და გამრავლება დაკვებებოდეს ჩვენს კუთხეს სრულიად საქართველოსთან ერთად.

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს 29-ე რიგგარეშე სხდომამ დაამტკიცა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოქალაქეთა სოციალური დაცვის პროგრამისა და ბენეფიტის გაცემის, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამისა და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესები. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსებისა და სასპორტო ღონისძიებების, განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის (სამგზავრო გადაყვანის) ხელშეწყობის, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის სფეროში საპატიო წოდებების მინიჭების წესის და ჯილდოების გაცემის. ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე „უანგარო მზრუნველის“ წოდების მინიჭების, განათლების სფეროში საპატიო წოდებების მინიჭებისა და განათლების ხელშეწყობის, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკის პროგრამები. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდამჭერის პროგრამა და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესი. ასევე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი.

სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი.

სხდომამ დაამტკიცა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტი, რომლის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 12,781.3 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები) 14,781.3 ათასი ლარით

მკითხველი ვრცელ ინფორმაციას ბიუჯეტთან დაკავშირებით გაეცნობა გაზეთის უახლოეს ნომერში.

კონკურსი

სახელმწიფო რწმუნებული – პაპუნა მარგველიძე გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის (CESL) ჯგუფის ხელმძღვანელს – ჰოვარდ ჰარდინგს შეხვდა.

შეხვედრაზე, რომელიც სამხარეო ადმინისტრაციაში შედგა, საზოგადოების წარმომადგენლებმა სახელმწიფო რწმუნებულს დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს იმ საგრანტო კონკურსის შესახებ, რომელიც მუნიციპალიტეტებისთვის უკვე გამოცხადებულია. თავის მხრივ სახელმწიფო რწმუნებულმა პროექტის წარმომაგენლობას რეგიონის შესახებ მიაწოდათ საჭირო ინფრმაციები. შეხვედრაზე განხილულ იქნა აგრეთვე ის ძირითადი დარგები და პრიორიტეტული მიმართულებები, რომელიც სამომავლოდ განვითარებას და მეტ მხარდაჭერას მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ GIZ-ი საქართველო, ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული ინიციატივის „EU4ITD – ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი“ (CESL) ფარგლებში, აცხადებს კონკურსს საპროექტო იდეების მიღებაზე.

კონკურსის შედეგად განხორციელდება რეგიონული და „ინტეგრირებული“ პროექტების დაფინანსება გურიის, იმერეთის, კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონებში სამი მიმართულებით: ურბანული განახლება, ტურიზმის განვითარება და შემოსავლების გენერირება/ეკონომიკური გააქტიურება. პროექტის ძირითადი მიზანია ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების დაბალანსება საქართველოში, რეგიონებიდან მიგრაციული პროცესების შემცირება და რეგიონული ცენტრების განვითარება.

საქართველოს „წითელი ჯვრის“ საზოგადოების მიერ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას 162 000 ლარის ღირებულების ჰუმანიტარული ტვირთი გადაეცა. ჰუმანიტარული ტვირთი თურქული საცალო ვაჭრობის კომპანია – „ელსი ვაიკიკის“ პროდუქციისგან შედგება, რომელიც რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტებზე, სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი, სტიქიის შედეგად დაზარალებული, ასევე, სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის დასახმარებლად თანაბრად განაწილდება.

ჰუმანიტარული ამანათები, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებს მაჟორიტარმა დეპუტატმა – **გოჩა ენუქიძემ**, სახელმწიფო რწმუნებულმა – **პაპუნა მარგველიძემ**, რწმუნებულის პირველმა მოადგილემ – **ქრისტინა კობახიძემ**, „წითელი ჯვრის“ წარმომადგენლებთან ერთად პირადად გადასცეს. რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია მადლობას უხდის საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას დახმარებისათვის. აღსანიშნავია, რომ მათი მხრიდან არაერთხელ განხორციელდა რეგიონში მსგავსი სახის დახმარების გაწევა, რაც უმნიშვნელოვანესია სხვადასხვა საჭიროების მქონე პირებისათვის.

ამბროლაურის რაიონული პროკურატურის წარმომადგენლებმა ფემიციდის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის ფარგლებში ამბროლაურის, ონის, ცაგერისა და ლენტეხის მოსახლეობასთან შეხვედრები გამართეს.

გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის – „არა ფემიციდს“ ფარგლებში, ამბროლაურის რაიონული პროკურატურის წარმომადგენლებმა ფემიციდის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის ფარგლებში ამბროლაურის, ონის, ცაგერისა და ლენტეხის მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრები გამართეს.

პროკურატურის წარმომადგენლებმა შეხვედრის მონაწილეებს ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობების გამომწვევი მიზეზების და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ინფორმაცია მიაწოდეს. იმსჯელეს როგორც ძალადობის მსხვერპლი ქალების დაცვის და დახმარების სერვისების ხელმისაწვდომობაზე, ისე დაზარალებულების მხარდაჭერისა და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროცესზე.

პროკურორებმა შეხვედრის მონაწილეებს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით უწყების მიერ ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმები გააცნეს, ასევე, მათი უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ინფორმაცია მიაწოდეს. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა დაზარალებულთა მხარდაჭერის და ფემიციდის პრევენციის მიმართულებით კოორდინირებული მუშაობის გაძლიერების საჭიროებაზე.

პროკურატურის წარმომადგენლებმა მოისმინეს შეხვედრის მონაწილეების მოსაზრებები ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახური დანაშაულის შესახებ; ისაუბრეს ამ მხრივ მიღწეულ პროგრესზე, არსებულ გამოწვევებზე და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობაზე.

საქართველოს პროკურატურის ორგანიზებით, ფემიციდის წინააღმდეგ მასშტაბური საინფორმაციო კამპანის მხარდამჭერია აშშ-ის საელჩო და გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women).

კამპანიის მიზანია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ფემიციდის დანაშაულების პრევენცია.

დასაქმების პროგრამა და მოსარგებლეთა პოზიტიური მოლოდინები

მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის, იგივე გაზეთის მკითხველისათვის, ცნობილია, რომ მიმდინარე წლის პირველი აპრილიდან ქვეყანაში საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 31 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ამოქმედდა დასაქმების ხელშეწყობის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამა – დასაქმების ხელშეწყობის მომსახურეთა განვითარების, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების და საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამების სახით.

პროგრამის ამოქმედებას ქვეყნის მასშტაბით წინ უძღოდა სერიოზული სამუშაოები, შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტშიც, როგორც მიმწოდებელმა მხარემ და ამავდროულად პარტნიორმა. ცხადია, სსიპს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან ერთად.

ამჯერად მკითხველის ყურადღებას გავამახვილებთ პროგრამის მე-3 საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამაზე, რომლის მიზანია სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვა, რათა მოხდეს მათი წახალისება და მოტივაციის ამაღლება – გახდნენ აქტიური სამუშაო ძალა და ინტეგრირდნენ შრომის ბაზარზე.

აქვე მკითხველს იმასაც შევახსენებთ, რომ შრომისუნარიან წევრს არ მიეკუთვნება შემდეგი კატეგორია: სარეცელს მიჯაჭვული ე.ი. დაუხმარებლად გადაადგილება ვისაც არ შეუძლია და საჭიროებს მომვლელს; საპენსიო ასაკს მიღწეულები(ქალი 60, მამაკაცი 65 წელი); 18 წლამდე ასაკის პირი და ისინი, ვინც მზრუნველობას უწევენ საკუთარი ოჯახის არასრულწლოვან წევრებს, შშმ პირებს, ან ხანდაზმულებს.

კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სოციალური შემწეობის მიმღები უმუშევარი შრომისუნარიანი პირებისთვის მობილიზებული იქნა 382 ვაკანსია. დასაქმდა კიდეც – 371 პირი. აქედან ა(ა)იპ-ში „ამბროლაურის ტურისტული ცენტრი“ 9; შპს გაზეთი „ამბროლაურის მოამბე“ 4; ა(ა)იპ-ში „მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი“ 62; ა(ა)იპ-ში „დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური“ 292; ხოლო მუნიციპალიტეტის მერიაში – 4.

რა თქმა უნდა, აღნიშნულ სამსახურებთან ერთად ხორციელდებოდა წლის განმავლობაში მონიტორინგი. ცხადია, იყო მთელი რიგი ზოგადად ყველა სიახლესთან დაკავშირებული ხარვეზებიც (მაგალითად, აღრიცხვის უზუსტობა, სამუშაოს ხარისხი, არკეთილსინდისიერი შესრულება და სხვა), მაგრამ გზადაგზა ხდებოდა კიდევაც მათი აღმოფხვრა, რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა შედეგი: საზოგადოებრივ სამუშაოს მომწოდებელთა და მოსარგებლეთა ნორმალური თანამშრომლობა შედგა. გამოცდილება მიღებულია და ორივე მხარის სურვილია გაგრძელდეს მუშაობა დამატებით საზოგადოებრივი სამუშაოების შექმნაზე.

ჩვენ გავესაუბრეთ რამოდენიმე მოსარგებლეს, რომელთა პოზიციას აქვე გთავაზობთ და ვიმედოვნებთ, მკითხველსაც შეექმნება სწორი შეხედულება პროგრამის მნიშვნელობაზე.

ვახტანგ დვალი – მერის წარმომადგენელი ბუგეულის ადმინისტრაციულ ერთეულში.

ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ 6 სოფელში (ბუგეული, ჯვარისა, აბანოეთი, ბარეული, გორისუბანი) 40 შრომისუნარიან სოციალურად დაუცველ პირს რომ სოციალურ შემწეობასთან ერთად გაუჩნდა დამატებითი შემოსავალი ხელფასის სახით, რომ ეს ხალხი გამოვიდა სახლიდან და მოხდა მათი ადაპტირება საზოგადოებასთან მართლაც მისასალმებელი ფაქტია და მათი უმრავლესობა საუბარში არც მალავს აღფრთოვანებას დასაქმების პროგრამის ამოქმედებასთან დაკავშირებით.

ჩვენ – მერის წარმომადგენლები დასაქმების პროგრამის პრინციპებიდან გამომდინარე პასუხისმგებლები ვართ მოსარგებლის მიერ ნამუშევარის აღრიცხვაზე (ტაბელის სახით). ე.ი ვახორციელებთ მორიტორინგს. მიუხედავათ იმისა, რომ ვაკანსიები მოსარგებლეებმა თავად შეარჩიეს, იციან, რომ აქვთ შრომის დაცვის გარანტია, შეუძლიათ გაიარონ კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და სხვა პროგრამის ამოქმედების პირველ თვეებში მაინც ჰქონდა ადგილი სამუშაოს არაკეთილსინდისიერად შესრულების ფაქტებს. რის გამოც რამოდენიმემ ვერ მიიღო სრული ანაზრაურება და ვფიქრობ, ერთს საერთოდ ამოვიღებთ კიდეც ბაზიდან. ჩვენთან ძირითადათ მაინც წყალსადენების ქსელებისა და სასაფლაოების მოლა-პატრონობაზე არიან დასაქმებულები. პრობლემები უფრო სასაფლაოების მოვლაზე დასაქმებულებთან შეგვექმნა. თუმცა მდგომარეობა გამოსწორებულია და მოსარგებლეთა პოზიციასაც ვახმოვანებ: დასაქმების პროგრამა დიდი შვება აღმოჩნდა მათთვის და რომ კვლავაც აქვთ პოზიტიური მოლოდინები.

რამაზი მელაშვილი, მერის წარმომადგენელი

– წესის ადმინისტრაციულ ერთეულში სახელმწიფო პროგრამით 12 შრომისუნარიანი სოციალურად დაუცველი პირი დასაქმდა, რასაც მოსახელობის მხრიდან ძალზე დადებითი შეფასება მოჰყვა.

მოსარგებლეთა უმრავლესობა სანიაღვრე არხებისა და წყალმომარაგების სისტემის მოვლა-პატრონობაზეა დასაქმებული, 4 კი სასაფლაოებზე, რაზედაც მინდა სპეციალურად შევჩერდე. მიუხედავათ იმისა, რომ აქაურებს არ გვესწავლება მიცვალებულთა საფლავებისადმი პატივის მიგება, მაინც მოგვიმრავლდა ეკალ-ბარდებით გადავლილი საფლავები. განსაკუთრებით ველიეთის და ყურაშვილების სასაფლაოებზე, რომლებიც წლებია აღარ ფუნქციონირებს. თითქოსდა შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო ბარაკონის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე სასაფლაოზე, მაგრამ მაინც საჭიროებდა ხელის შევლებას. ცოტა მეტი საქმე გვექნება კვლავ ველიეთზე, სადაც ეკლესიის აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს და საკმაოდ იყრის თავს ნარჩენები.

არ ვიცი საფლავთან რამდენად მართებულია სიტყვა მიხარია ვიხმარო, მაგრამ ნამდილად ასეა, რადგან აქაურებს გულის სიღრმეში ყველაზე მეტად მაინც მოუვლელი საფლავების ბედი გვაწუხებდა. განვიცდიდით, რომ მარტო აღდგომის დღეებში შევლებული ხელი არ იყო საკმარისი.

დღეს სულ სხვა სურათია. სასაფლაოებზე გამეფებული იდუმალება-მდუმარებაში თითქოს მადლობის ნიშნად გველაცლიცებიან მათი სულები.

ნაზი მოწონელიძე – მოსარგებლე – სულ არ მრცხვენია, რომ ცოცხი მიჭირავს ხელში და ბუგეულის ადმინისტრაციულ ერთეულში გარკვეული ტერიტორიის დასუფთავებაზე ვარ დაკავებული. ღმერთმა დალოცოს ყველა, ვინც ჩემი სახელი და გვარი დასაქმების პროგრამის სამიზნე ჯგუფის სიაში შეიტანა. შემოთავაზებას სიხარულით დავეთანხმე. თითქოს გამოვკეთდი. მედიკამენტების შეძენის პრობლემა მომეხსნა. ამიტომ ვახერხებ ავადმყოფი დის მიხედვასაც და დაკისრებული მოვალეობის ხარისხიანად შესრულებასაც, რისთვისაც არაერთხელ ხმამაღლა მითხრეს მადლობა, რაც ჩემთვის დიდი სტიმულია. მითუმეტეს კონსულტაციიდან ვიცი, რომ ოთხი წლის განმავლობაში შემინარჩუნდება ხელფასთან ერთად სოციალური დახმარებაც.

ბუგეულის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ ყველა სოფლებშიც საკმაოდ არიან დასაქმებულნი. ხშირად ვსაუბრობთ და ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ამ პროგრამაში ჩართვით არა მარტო საარსებო თანხა გამოგვიჩნდა, არამედ შეიცვალა დამოკიდებულება, როგორც შრომისადმი ისე საკუთარი შესაძლებლობების შეფასებისადმი.

როსტომ ბაკურაძე, ცენტრის დირექტორი

– დაგვეთანხმება მკითხველი, რომ ა(ა)იპ-ი „მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი“ რთულ სამუშაოს ასრულებს. არაა ადვილი 60-ზე მეტ სოფელში უზრუნველყო წყალმომარაგების ქსელის გამართული მუშაობა პრობლემები ხან სად იჩენს თავს და ხან სად. არის დროის, ტრანსპორტის, ტექნიკის და სხვა ფაქტორებიც, რის გამოც ხშირად მიგვიღია მოსახლეობისაგან საყვედური.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა სასარგებლო აღმოჩნდა ორივე მხარისათვის, როგორც ჩენი სამსახურისთვის ისე ცენტრში დასაქმებული 62 მოსარგებლისათვის.

დასაწყისში ნამდვილად იყო პრობლემები ურთიერთობებში. ნაწილი არ გადიოდა ყოველდღიურად ობიექტზე, ზოგი საერთოდაც ვერ ერკვეოდა თავის მოვალეობაში და ისე ითხოვდა სრულ ანაზღაურებას.

საბედნიეროდ თანდათანობით მუშაობა აეწყო და დღეს ჩვენ მათი სახით გვყავს რაიონული ცენტრს კილომეტრობით დაშორებულ სოფლებში დასაყრდენი ძალა. ბუნებრივია, გამოიკვეთნენ დაკისრებული მოვალეობის კეთილსინდისიერი შემსრულებელი მოსარგებლეები. მაგალითად: ჩორჯოში **კობა რატიანი** და **ლევან დავითულიანი**. ტბეთში **მერაბ გოგორელიანი**, ზემო კრიხში **გიორგი ფონჯავიძე**, ნიკორწმინდაში **რევაზ დოხნაძე**, ბაჯში **სოსო კენჭაძე**, ძირაგეულში **დავით ჭელიძე**, ხიდიკარში **მამუკა გოგობერიშვილი** და **ოლეგ საგანელიძე**, წესში **თამაზ მელაშვილი**, ჭყვიშში **დავით ჯინჭარაძე**...

იყვნენ ისეთებიც რომლებთანაც მოგვიწია სახელშეკრულებო პირობების გადახედვამ, სამწუხაროდ 1 მოსარგებლე გარდაიცვალა და გვაქვს 1 ვაკანსია. როგორც აღვნიშნე პროგრამის ამოქმედების პირველ ეტაპზე მაინცდამაინც არ გამოდიოდა ურთიერთობები, მაგრამ ახლა უფრო გახსნილები არიან, ინტერესი გაუჩნდათ პროფესიისადმი და სურვილი დაეუფლონ სხვადასხვა პროფესიებს, აიმაღლონ კვალიფიკაცია და სხვა.

ვაფიქსირებ პოზიციას, რომ დასაქმების პროგრამა მართლაც დროული და სწორად გათვლილი აღმოჩნდა ამ ფენისათვის.

ფიქრია სამარგულიანი – მოსარგებლე

ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩემს ასაკში სოციალურად დაუცველის სტატუსის მატარებელი ვიქნებოდი. მითუმეტეს მეუღლისას, რომელიც ჯანმრთელობის გაუარესების გამო წელს უმუშევარი დარჩა (საოპერაციოა). ზარმაცები არ ვართ, მაგრამ მცირეწლოვან შვილს შემწეობას ჩვენი მედიკამენტების მიზეზით რომ ვუმცირებდით ძალზე განვიცდიდით.

ციდან ჩამოვარდნილი საჩუქარივით იყო დასაქმების პროგრამაში ჩართვა. როგორ მომიბრუნდება ენა და ვიტყვი იმას, რომ არაა კარგი პროგრამა – რამდენმა ჩემნაირმა ამოისუნთქა შვებით...

გარდა იმისა, რომ საკუთარი შემოსავალი გამიჩნდა, კარგ კოლექტივში აღმოვჩნდი, საზოგადოებაში გამოვედი. ძირითადათ მიკროავტობუსით გადავაადგილდები. ვის აღარ ვხვდები ღადიშსა და ცახის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სოფლებში. ნებისმიერი ასაკის ადამიანებთან შეხვედრა მახარებს, რადგან ვგრძნობ როგორ მელიან. მე მათ ხომ ადგილობრივ გაზეთს ვაწვდი, თანაც უფასოდ, არადა მზად იყვნენ ფულიც გადაეხადათ.

მოვიდა ჩვენი რაიონის ახალი ამბებიო და მლოცავენ. ორნაირად განვიცდი სიხარულს. ვმუშაობ, სამსახური მაქვს, რეალიზებული ვარ, ოჯახის საქმესაც ვასწრებ. თითქოს ჯანმრთელობაც გამიუმჯობესდა.. ნამდვილად ბედნიერი ვარ იმით, რომ სიამოვნებას ვანიჭებ ადამიანებს. ახლა ზამთარია და ბევრი ქალაქში გადაბარგდა, მაგრამ დამიბარეს შეგვინახე და დაგვახვედრეო. მათ რა თქმა უნდა, დავპირდი და შევუსრულებ. თუმცა მკითხველი არ მომკლებია. ავტოსადგურში მარშუტკის მოლოდინში, ვინ აღარ მთხოვს გაზეთს. დამატება მოვითხოვე და კინოფილმში „ვერის უბნის მელოდიებში“ რომაა ლამის მეც ვიყვირო „ახალი ამბების დასტა“.

მართლა დროული დახმარება აღმოჩნდა ეს პროგრამა. მიხარია, რომ გაგრძელდება, ვფიქრობ, კონსულტაციები გავიარო და ჩემი პროფესიით კვალიფიკაციის ამაღლებაზეც ვიზრუნო. ვნახოთ, უფალი არ დაგვტოვებს მარტო.

რ ა გ ბ ი სპორტის ის სახეობაა, რომელიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ქვეყნის ახალგაზრდობაში. ბუნებრივია, მისადმი ინტერესი დიდია რეგიონშიც. სასიამოვნოა, რომ ამ მიმართებითაც მუშაობა მიმდინარეობს. ამ კუთხით გადადგმულ სერიოზულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ „რეგიონში რაგბის განვითარების სტრატეგიული გეგმა“, რომელიც სამხარეო ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე წარმოადგინეს საქართველოს რაგბის კავშირის წარმომადგენლებმა განსახილველად. მათ სახელმწიფო რწმუნებულს გააცვნეს ის მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები, რომელთა საფუძველზეც რეგიონში შესაძლებელია აღნიშნული სპორტის განვითარება.

შემოთავაზებულია იდეა, რომ რეგიონში ჩამოყალიბდეს ნახევრად სტრუქტურირებული სარაგბო კლუბი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი დონის ლიცენზირებული მწვრთნელებით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საწვრთნელი და სათამაშო ინფრასტრუქტურით. კლუბი მონაწილეობას მიიღებს ს.რ.კ-ს ეგიდით გამართულ ყველა საფესტივალო ასაკისა და ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გათამაშებაში.

აღსანიშნავია, რომ რეგიონალური რაგბის კლუბის ფუნქციონირება ორგანიზაციული და სპორტული თვალსაზრისით დამყარებული იქნება მოწინავე საერთაშორისო გამოცდილებაზე, ამავე დროს კლუბი ხელს შეუწყობს მის წევრებს შორის ეროვნული ღირებულებების გავრცელებასა და განმტკიცებას.

სპორტი

ადგილობრივ თვითმმართველობას მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სპორტის განვითარებისათვის გაწეულ საქმიანობას ფრიადზე უფასებს. ალბათ იმიტომ, რომ 2022 წელი მიღწეული შედეგებით მართლა ბარაქიანი აღმოჩნდა. წინა წლებისაგან განსხვავებით მოჭიდავეებისა და კარატისტების მსგავსად გარკვეულ შედეგებს მიაღწიეს სპორტის ისეთი სახეობების წარმომადგენლებმა, როგორიცაა ჭადრაკი, კალათბურთი. სერიოზული ნაბიჯებია გადადგმული რაგბის, ფეხბურთის, მაგიდის ჩოგბურთის განვითარებისათვის. თამამი განაცხადი გააკეთეს ფეხბურთელმა გოგონებმაც, რაც იმის მაუწყებელია, რომ ახალგაზრდობა აქტიურობს, სხეულთან ერთად სულსაც იკაჟებენ და თავისუფალ დროსაც უფრო გონივრულად გეგმავენ. მერიის მიერ შემოთავაზებული საინტერესო პროგრამებისა და სპორტული მოედნების, ტრენაჟორების სიმრავლეც ხომ ამისთვისაა გამიზნული. ე.ი. სპორტისადმი ინტერესი იზრდება, რაც მისასალმებელია და ვიმედოვნებთ, მომავალი წელი, რომელსაც რამდენიმე დღეღა გვაშორებს, უფრო მეტ სასიამოვნო სიუპრიზებს შემოგვთავაზებს.

წარმატებები დაგკვებებოდეთ ამბროლაურელო სპორტსმენებო!

ჭიდაობა

ქ.ა მბროლაურში გამართულ მსოფლიოში ცნობილი ქართველი მოჭიდავის გურამ საღარაძის სახელობის ტრადიციად ქცეულ ტურნირს, თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, ორი დღის განმავლობაში გულშემატკივარი არ მოკლებია. ტურნირზე, რომელიც ამბროლაურის მუნიციპალიტეტისა და კლუბის „ფალავანი“ ორგანიზებით გაიმართა, ქვეყნის 12 ქალაქიდან ჩამოსულმა 206 მოჭიდავემ ძალები (ორ ასაკობრივ ჯგუფში) 15 წონით კატეგორიაში მოსინჯა.

საჭიდაო დარბაზში მიმდინარე ტურნირის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე მუნიციპალიტეტის მერმა **ზვიად მხეიძემ** წარმატებები უსურვა სპორტსმენებს და თავისუფალ ჭიდაობაში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულ სპორტსმენებს **ვლადიმერ გამყრელიძეს, გიორგი ელბაქიძეს** და **ლუკა კვატაშიძეს**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სახელით სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

ტურნირის დასკვნით დღეს წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულებს გადაეცათ პრიზები, სიგელები და საჩუქრები.

აღსანიშნავია, რომ ტრადიციებს ამჯერადაც არ უღალატეს ჩვენებურებმა. **გიგა მელაშვილმა** 35 კილოგრამ წონით კატეგორიაში, **ტატო კობახიძემ** 38 კგ წონით კატეგორიაში, ხოლო **ჯიმი კერვალიშვილმა** 57კგ წონით კატეგორიაში დაიკავეს პირველი ადგილები. მეორე ადგილი დაიკავა 57 კგ წონით კატეგორიაში **საბა ფოფხაძემ**. მესამე ადგილის მფლობელები გახდნენ 29, 32, 38 და 45კგ. წონითი კატეგორიების მიხედვით **ნიკა კობახიძე, ოთიკო ფურცელაძე, ლევან ყიფიანი** და **ლუკა ბეშიძე**.

ჭაბუკმა ფალავნებმა გამოცდილებაც დიდი მიიღეს და სამომავლოდ მაღალი შედეგების მისაღწევად ბრძოლის გზაზე საპრიზო ადგილებიც მონიშნეს.

ტრადიციისამებრ, წლევანდელმა ტურნირმაც ჩაიარა ორგანიზებულად და ორგანიზატორებმა სპეციალისტებისაგან მაღალი შეფასებაც დაიმსახურეს. მათი განცხადებით მიზანი მიღწეულია: ქვეყნის მასშტაბით თავისუფალ ჭიდაობაში მოდის ღირსეული ცვლა, სადაც ამბროლაურელ ფალავნებს განსაკუთრებულად გამორჩეული ნიშა უკავიათ, რაც პედაგოგების **გიორგი გოგობერიშვილის, გიორგი გავაშელის, ვეფხვია ბაქრაძისა** და **ლევან გორდეზიანის** დამსახურებაცაა.

* * *

კლუბის „ფალავანი“ მოჭიდავეები სერიოზული ნადავლით დაბრუნდნენ ბაღდადში გამართული გურამ გობეჯიშვილისა და გიორგი ბოგდანოვის სახელობის ტურნირიდან.მწვრთნელების გიორგი გოგობერიშვილის, გიორგი გავაშელის, იგორ აბუთიძისა და ვეფხვია ბაქრაძის აღზრდილთა ანგარიშზეა 5 პირველი და 3 მესამე ადგილები.

პირველი ადგილი დაიკავეს სხვადასხვა წონით კატეგორიებში – **ლუკა ბეშიძემ** (48კგ), **გიგა მელაშვილმა** (35კგ), **ოთარ ფურცელაძემ** (32კგ), **ტატო კობახიძემ** (42კგ) და **საბა ფოფხაძემ** (57კგ).

მესამე ადგილის მფლობელები გახდნენ **საბა ბიბილაშვილი** (35კგ) და **ლუკა გოგოლაძე** (57კგ).

ვულოცავთ და გვჯერა, კარს მომდგარ ახალ – 2023 წელშიც თავიანთი წარმატებებით ახალგაზრდები კვლავაც არაერთხელ გაგვახარებენ და მათთან ერთად ახალ სახელებსაც გავიცნობთ.

განცხადება

აუქციონზე გამოტანილია ქ. ამბროლაურში ვ. კობახიძის №2-ში მდებარე სსიპ ქ. ამბროლაურის №1 საჯარო სკოლის ძირითად კორპუსში არსებული ფართი (31,2კვ.მ) ბუფეტის მოსაწყობად.

აუქციონი ტარდება ელექტრონულად 2022 წლის 29 დეკემბერს. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.eaugtion.ge

სსიპ ამბროლაურის №1 საჯარო სკოლის დირექცია.

ქალაქის მე-2 საჯარო სკოლის ფეხბურთელი გოგონები აღარ ხუმრობენ (ფოტოზე) რაიონული ჩემპიონატის გამარჯვებულები არიან. ამავე სკოლის გეზმბრმენი გოგონებიც და ვაჟებიც მუნიციპალიტეტის ჩემპიონატის გამარჯვებულები არიან. უფრო მეტს ველოდებით მათგან 2023 წელში.

ჭადრაკი

მუნიციპალიტეტის მოსწავლეახალგაზრდებში სპორტის ამ სახეობისადმი ინტერესი არ ახალია და შესაბამისად, გარკვეული მიღწევებიცაა. ინტერესი კიდევ უფრო გაზარდა იმანაც, რომ 2022-2023 სასწავლო წლიდან ჭადრაკი სკოლებში სასწავლო საგანი გახდა. ახლახანს ამბროლაურის სასპორტო სკოლაში 8, 10, 12 წლამდე მოჭადრაკეთა შორის მუნიციპალიტეტის პირადი პირველობა ჩატარდა.

გაიცანით პრიზიორები:

8 წლამდე გოგონებში:
1. ანასტასია ჭელიძე;
2. ქრისტინე რეხვიაშვილი;
3. მარიტა დვალი.

8 წლამდე ჭაბუკებში:
1. დემეტრე ჩალაძე;
2. ლუკა ზარქუა;
3. ანდრია დვალი.

10 წლამდე გოგონებში:
1. თეკლა გოგსაძე;
2. თეკლა ჩიტალაძე;
3. ანასტასია მოდებაძე.

10 წლამდე ჭაბუკებში:
1. ალექსანდრე ჩალაძე;
2. გუგა ქემოკლიძე;
3. ლადო კობახიძე.

12 წლამდე გოგონებში:
1. მარიამ ბოჭორიშვილი;
2. ქეთა ზარქუა;
3. ანა სოფრომაძე.

12 წლამდე ჭაბუკებში:
1. ლუკა სანთელაძე;
2. მანუჩარ დვალი;
3. ნიკოლოზ სოფრომაძე.

პირველობა სასპორტო სკოლისა და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა.

ვულოცავთ გამარჯვებულებს და გვჯერა, მიღწევებით მომავალ 2023 წელში არაერთხელ გაგვახარებენ.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მუნიციპალიტეტის მერია უთანაგრძნობს მწუხარებაში საკრებულოს წევრს ნინო ჯოხაძეს შვილის

გიორგი შიშინაშვილის

გარდაცვალების გამო

ამბროლაურის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სკოლის ყოფილი დირექტორი

ალექსანდრე (ალეკო) აბუთიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მარინა და კოტე ტოროშელიძეების ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება რომ გარდაიცვალა

ალექსანდრე (ალეკო) აბუთიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქტორი დალი დარახველიძე

რედაქციის მისამართი: ქ. ამბროლაური, დავით აღმაშენებლის ქუჩა №24 ტელ: 593 60 40 67

„ამბროლაურის მოამბე“ რეგისტრირებულია ამბროლაურის სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის №15/5/ბ103

გაზეთი დაიბეჭდა ბაკური ყილაძის მიერ ქუთაისი, წერეთლის ქ. №186. ტელ: 0431 23 45 54

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს, ავტორი პასუხისმგებელია მასალის, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსსა და სტილზე.